



„ნაბიჯები განძისკენ“

საჭირო რესურსები:

- ✓ დაბეჭდილი რუკები (თითოეული ჯგუფისთვის);
- ✓ კომპასი (სურვილისამებრ, დამატებითი სირთულისთვის);
- ✓ მარკერები დაბრკოლებების მოსანიშნად;
- ✓ პრიზები (ტკბილეული, სტიკერები და სხვა);
- ✓ ფურცლები მოსწავლეებისთვის დასკვნების ჩასაწერად.

აქტივობის გეგმა:

ინსტრუქციები:

1. მომზადება (აქტივობამდე):

- ✓ შექმენით რუკა (სივრცეზე მორგებული);
- ✓ მონიშნეთ საწყისი წერტილი და განძის მდებარეობა;
- ✓ დაამატეთ დაბრკოლებები, რათა ნავიგაცია უფრო რთული გახადოთ;
- ✓ ჩართეთ ისეთი მინიშნებები როგორცაა: „ გადადგით 4 ნაბიჯი ჩრდილოეთით, შემდეგ 3 ნაბიჯი აღმოსავლეთით. "შეუხვიეთ დასავლეთით და გადადგით 5 ნაბიჯი წინ.“

კლასი დაყავით გუნდებად

- ✚ დაყავით მოსწავლეები სამ ან მეტ ჯგუფად;
- ✚ თითოეულ გუნდს გადაეცით ინდივიდუალურად მათთვის შედგენილი რუკა მინიშნებებით.

დამალეთ განძი - განათავსეთ მცირე პრიზები სხვადასხვა ადგილას რუკებზე დაყრდნობით.

2. აქტივობა:

- ✚ განმარტეთ მიზანი;
- ✚ მიმოიხილეთ სივრცეში ორიენტირების კონცეფცია (ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი);
- ✚ თუ აქტივობის პროცესი ითვალისწინებს კომპასის გამოყენებას, წინასწარ ასწავლეთ მოსწავლეებს როგორ გამოიყენონ ის;
- ✚ გაანაწილეთ რუკები და დარწმუნდით, რომ გუნდებმა გაიგეს ინსტრუქციები;

- ✚ გუნდები იწყებენ ნავიგაციას. ისინი უნდა მიჰყვნენ ინსტრუქციას და იმოქმედონ შესაბამისი მიმართულებით. თუ რაიმე დაბრკოლებას წააწყდებიან, უნდა იპოვონ გზა, რათა არ დაკარგონ მიმართულება;
- ✚ წახალისეთ კომუნიკაცია - მოსწავლეებმა მორიგეობით უნდა წაიკითხონ რჩევები და უხელმძღვანელონ თავიანთ გუნდს;
- ✚ გაიმარჯვებს ის გუნდი, ვინც პირველი აღმოაჩენს განძს. თუმცა, სამართლიანობის განსამტკიცებლად გამარჯვებული გუნდი თანაკლასელებს გაუზიარებს განძს.

3. რეფლექსია (კითხვები)

- რა გამოწვევა შეგხვდათ განძის ძიების პროცესში?
- როგორ დაგეხმარათ გუნდური მუშაობა?
- როგორ გამოვიყენოთ რუკები და მიმართულებები რეალურ ცხოვრებაში?

აქტივობის ვარიაციები :

კავშირი ისტორიასთან - სთხოვეთ მოსწავლეებს ითამაშონ როგორც ცნობილმა მკვლევარებმა, როგორცაა მაგელანი ან კოლუმბი.

ტექნოლოგიის გამოყენება - მიეცით საშუალება მოსწავლეებს შექმნან ციფრული რუკები Google Maps-ის ან ხატვის ხელსაწყოების გამოყენებით.